...ცემა და რედაქცია
...ილისი, სასახლის ქ.,
...-აზნაურთ ქარვასლა
...-მომწერნი გაზეთის დახავე... მიმართავენ რედაქციას დილის ... საათიდამ და საღამოს 6—7 ... ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
...ით მოლაპარაკება რედაქ...თან შეიძლება ყოველდღე ...ტელეფონით № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან., და 50 კაპ.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 18 თებერვალს
...ული დრამატიული დასისაგან ქ-ნ ნ. ჰ. რჟნელისა და ბ. დ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
I
პირველად ახალი პიესა:
სიკოლა დუნჩიკი
სამ მოქმედ. კომედია გადმ. რუსულიდან დ. მესხის-მიერ.
II
მამა და კოლტი
ერთ მოქ. კომ. ფრანგულიდან.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი ვ. აბაშიძე და ქ. მესხი.

VERMOREL
...nsmructeur Villefranche
...ne) ვაზის შესასხურებელი ... „ეკლერ" გოგირდის შე... ...ელი მანქანა „ტორპილი".

შაბიამანი
macclesfield
ერთად-ერთი წარმომადგენელი მთელს რუსეთისა და კავკასიისა.
მ. ფრიდლიანდი. ტფილისში. (10—8)

დიმ. კოსტ.-ძე ერისთავი
(ოქრომჭედლების ქუჩა, სახ. თულაევისა № 40.)
სადოსტაქარო (ხირურგ.) სნეულებანი—
...ღებს ავადმყოფებს—დილის 10—1 საათამდის.

Докторъ Д. К. ЭРИСТОВЪ
...брянны рядъ д. Тулаева, № 40). (10—2).

...რნალო და ამბულატორია
...თოფურიასი
ქუთაისში.
...ნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი ...ნაგანისა, ნერვებისა, საქირურგიო ... და დედათა ავადმყოფობისანი,
...დებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
...ფთ სინჯავენ დილის 11 ...დან ნაშუადღევის 3 საა... შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია ...საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი ჩ. თ. კოგანი.
30 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
ამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

** თავად-აზნაურთა კრება. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ კრებაზე, რომელიც დანიშნულია 2 მარტისათვის, გუბერნიაში ერობის შემოღებისა და მაზრებს შორის თავად-აზნაურობის ბანკის რწმუნებულთა განაწილების საქმის გარდა, დანიშნულია განსახილველად კიდევ შემდეგი საგნები: გუბერნიის ადგილ-მამულების გამიჯვნის დასაჩქარებელი ზომები. სასწავლებლებში ერეკლე მეფის სახელზე სტიპენდიების დაარსება, სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში კრედიტის გახსნა და თავად აზნაურთათვის იმ უფლების მიცემა, რომ მათ ამ განყოფილების კომიტეტში წარმომადგენელნი იყოლიონ.

** კულტუროსანთა საქციელი. ამ დღეებში სოხუმის ეპარქიის მისსიონერი (ყოფილი ზაქათალის ოლქისა) მღვდელი ტ. ივანიცკი შესულა ტფილისში ერმაკოვის ფოტოგრაფიაში გასაშინჯად ალბომისა, სადაც კავკასიის ხალხოსანთა „ტიპები" ხატია. აქ მას უნახავს 1878—80 წლებში ფოტოგრაფიით გადაღებული სოფელ კახის (ზაქ. ოლქში) ორკლასიანი სამრევლო სკოლა კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა—მასწავლებლებით, მოსწავლეებით და მზრუნველებით. რადგანაც ეს სკოლა ხსენებულ მისსიონერის სამშობლოში იმყოფება და მისი ნათესავებიც არიან გადაღებულნი, დაწვრილებით უშინჯავს სურათი. მოულოდნელად მას შეუმჩნევია სურათზე შემდეგი წარწერა დაბეჭდილი ასოებით: ученики и ученицы армянской школы. მისსიონერს დაურწმუნებია, რომ სკოლა სომხებისა არ არის და მოწაფეები თითქმის ყველანი ქართველ-ინგილონი არიანო. მხოლოდ მაშინ კარანდაშით შეუსწორებია ფოტოგრაფიაში წარწერა. მაგრამ ამით საქმე არ დაბოლოვებულა: შემდეგ მისიონერს უნახავს იმავე ალბომში ფოტოგრაფიული სურათი, სადაც არიან გადაღებულნი ს. თასმალოში (ზაქ. ოლ.) ქართველ-ინგილოთ მართლმადიდებელ ეკკლესიასთან შეერთება 1882 წ. ამ სურათსაც ისევე აწერია: «ученики и ученицы армянской школы». ეს წარწერაც მ. მისსიონერს გადაუსწორებია. ამითაც საქმე არ დამთავრებულა; მასვე უნახავს გადაღებული ორი ქართველი ქალ-მონაზონნი, რომელთაც აწერიათ: «армянскія монашки». მისსიონერს უთქვამს, რომ ეს მონაზონნი მცხეთის მონასტრის წარმომადგენელნი უნდა იყვნენო და არა სომეხნი.

უკეთუ გავიხსენებთ, რომ სომხებმა მრავალი ქართველ მართლმადიდებელთა ტაძრები მიითვისეს, ქართული წარწერანი სომხურად შესცვალეს, მაშინ ზემოხსენებული ფაქტი ეჭვსა ჰბადავს: ქართველ მართლმადიდებელნიც ხომ არა ჰსურთ სომხებად აქციონ!?

მეთვალყურე

** რა არის „промысловый налогъ". ამას წინად მკითხველს შევპირდით ამ კითხვის ახსნას, ე. ი. ცოტაოდნად გამოგვერკვია რა არის ეს ახალი სახის გადასახადი „промысловый налогъ", რომელიც შემოღებულ იქმნა ამ წლის პირველ იანვრიდან. ეს ახალი შემოღება ეკუთვნის ფინანსთა სამინისტროს.

ამ ახლად გარდაქმნილ გადასახადის სისტემა შემდეგი სახის არის. ეს სახელმწიფო გადასახადი ედება: 1) სავაჭრო სახლებს, ამათ შორის საკრედიტო და დამზღვეველ საზოგადოებებს, სავაჭრო შუამავლობას, იჯარებს (პოდრიადებს), 2) სამრეწველო წარმოებას, ფაბრიკა-ქარხნებს, სახელოსნოებს, სამთო წარმოებას, საქონლის გადატან-გადმოტანას, 3) პირად სახელოსნო საქმეებს. ეს სახელმწიფო გადასახადი განიყოფება ორ ნაწილად—ძირითადი და დამატებითი. ძირითადი გადასახადი იფარვის სხვა და სხვა სახელოსნო მოწმობების გატანით. გადასახადის ზომიერად გასანაწილებლად მთელი რუსეთის იმპერია დაყოფილია კლასსებად, რამდენიმე ნაწილად ვაჭრობა-მრეწველობის განვითა-

რებასთან შეფარდებით. ძირითადი გადასახადი ხაზინაში შედის მაშინ, როდესაც სახელოსნო მოწმობა გამოაქვთ, ეს მოწმობები კი უნდა იქმნას გამოტანილი ყველა ცალკე სავაჭრო საქმისთვის, მრეწველობისთვის, ყველა ცალკე ხომალდისთვის და პირადი სახელოსნო საქმეებისთვის.

დამატებითი გარდასახადი უნდა გამოერთვას: 1) სააქციონერო და სხვა დაწესებულებათ, რომელნიც ვალდებულნი არიან ანგარიში გამოაცხადონ ხოლმე; ამათ გადასახადი ერთმევათ თანხასთან და მოგებასთან შედარებით პროცენტების სახით; 2) ყველა დანარჩენ ახლად დასაწყისს თუ დაწყებულ საქმეს, რომელსაც კანონი არ ანთავისუფლებს.

გადასახადი ამ წესით ერთმევა: ძირითად თანხაზე ყოველ ას მანეთზე სამი შაური. ის დაწესებულებანი, რომელთა წმინდა მოგება 3% (სამს პროცენტს) არ აღემატება, მოგებაზე დადებულ გადასახადს არ იხდიან. დანარჩენები ძირითადს თანხაზე დადებულ გადასახადის გარდა იხდიან მოგებაზე მიწერილ პროცენტებს ამ გვარად: ვინც იღებს სამი პროცენტიდან ათამდის—უნდა გადაიხადოს 3—6 პროცენტამდის; ვინც წმინდა მოგებას 10 პროცენტზე მეტს იღებს—გამოერთმევა 6 პროცენტი წმინდა მოგებაზე; გარდა ამისა 5 პროცენტი კიდევ იმ თანხაზე, რომელიც 10 პროცენტს მოგებას აღემატება. სავაჭრო და სამრეწველო საქმეები, რომელნიც ვალდებულნი არიან ანგარიში გამოაცხადონ, აგრეთვე ყველა პირადი სახელოსნო საქმეები მეორე და მესამე რიგისა ძირითად გადასახადის გარდა ვალდებულნი არიან გადაიხადონ ეგრედ წოდებული «раскладочный сборъ». უკანასკნელის საერთო თანხა მთელს იმპერიაში ინიშნება კანონმდებლობითი წეს-რიგით ყოველ სამ წლისთვის ერთად. «Процентный сборъ» (საპროცენტო გადასახადი) ერთმევა მხოლოდ იმ მოგებაზე, რომელიც ოცდაათჯერ აღემატება წარმოებაში ან პირად სახელოსნო საქმეში გადახდილ ძირითად გარდასახადს.

8 იანვრის ახალი კანონით, რომელმაც დაამტკიცა ეს სახელმწიფო ახალი გადასახადი ყველა სახელოსნო გადასახადები იღებენ საერთო სახეს, ერთდებიან; ამით გადასახადი ამა თუ იმ პირს შორდება და გადადის თვით საქმეზე.

საერთო შემოსავალი გადასახადისა ახალი კანონის ძალით უნდა იქმნეს 54,8 მილიონი, ე. ი. 13 მილიონით მეტი წარსულით გადასახადის შემოსავალთან შედარებით.

ამ ახალ სახელმწიფო გარდასახადის შემოღების დროს სახელმწიფო საბჭოს სახეში ჰქონდა გაეწია დახმარება ქალაქებ-ერობებისთვის, რომელთა მდგომარეობა ქონებრივა ძლიერ შევიწროებულია. ამ მიზნით საბჭომ მიანდო შინა საქმეთა მინისტრს და ფინანსთა სამინისტროს ამ საქმეში ერობების და ქალაქების მონაწილეობის მიღების გამორკვევა, რაიც უკვე სისრულეში მოიყვანეს კიდეც. ქალაქებში, როგორც ვიცით, ქალაქის გამგეობა აარსებს კომისიას ახალ გადასახადების გასაწერად. ეს საქმე კომისიის წევრებს სთხოვს წეს-რიგს, მიუდგომლობას და მეტად დიდ კეთილსინიდისიერებას, თორემ ვინ იცის რამდენი გვარი საქმეთა განსაჩივრება მოჰყვება.

ასეთ ახალ შემოღებას მოჰყვა ბევრი ისეთი პირობები, რომელთაც შეიძლება მმართებლობა არც მოელოდა. ამას ამტკიცებს რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან გამოგზავნილი ჩივილი და თხოვნა—ამა თუ იმ კითხვის ასახსნელად.

საყურადღებოა შემდეგი წამოყენებული კითხვა;—რუსეთში რომელ ებრაელსაც პირველი გილდიის მოწმობა ჰქონდა, შეეძლო თავისუფლად ცხოვრება ამა თუ იმ ქალაქში (ჩვენ ვიცით, რომ ებრაელთ რუსეთში ყველგან ცხოვრება არ შეუძლიანთ; არის ადგილი, სადაც არც ერთ ებრაელს არ შეუშვებენ). ეს ძველი კანონი ახალმა სახის გადასახადის შემოღებამ გადაასხვაფერა, რადგან გილდიის მოწმობებს ძველი მნიშვნელობა დაეკარგა. როდესაც გადასახადი გააწერს—გილდიის მოწმობებით შეძენილი უფლებანი შემცირდნენ. მაშ პირველ გილდიის ძალა ებრაელთათვის რით შეეცვალათ? აქ შეჩერდა კომისიათა მთავრობა და იწყეს სჯა-ბაასი; სანამ გარდაწყვეტილი პასუხი არ მისცეს ამ კითხვას და სანამ არ განსაზღვრეს ასეთ ებრაელთათვის თანხა გადასახადისა.

ასეთი კითხვები ჩნდებიან, მაგრამ ამით საქმე მაინც არ იფუშება. 8 ივნისის კანონის ძალით შემოღებული ახალი წეს-რიგი გადასახადისა მაინც პროგრესსიულად უნდა ჩაითვალოს, რომელსაც ახლო მომავალში უკეთესი წესი მოჰყვება: გამოცდილება და ცხოვრება ყველაფერს სცვლის.

მალაქია ბოლქვაძე

*** **ქართული საღამო ბაქოში.** როგორც გვატყობინებენ 13 ამ თვეს გამართულმა ქართულმა საღამომ შემოსავალი მისცა 4600-მდე და ხალხი დიდად კმაყოფილი დარჩა.

*** **ახალი დანიშნულება.** ამიერ-კავკასიის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის საქალებო ინსტიტუტის უფროსი ქალი ს. ნ. ბუტირლინისა დანიშნულია პეტერბურგის ელისაბედის ინსტიტუტის უფროსად; მის ადგილზე კი დანიშნულია ვილნის საქალებო გიმნაზიის ზედამხედველი ქალი ქ-ნი პოპოვისა.

*** **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე** ინჟენერი ლ. ვ. ფედოროვსკი, როგორც ისმის გადადის ამავე თანამდებობაზე რიაზან-ურალის რკინის გზაზე.

*** **ტელეგრაფისტების შტატის გაფართოება.** გადაწყვეტილია გაფართოებულ იქმნეს ამიერ კავკასიის რკინის გზაზე ტელეგრაფისტების შტატი. განზრახულია აგრეთვე, მიემატოს ჯამაგირი ხსენებულ გზის უმთავრეს სადგურების უფროს ტელეგრაფისტებს.

*** **კავკასიის სამაწად-მოქმედო სახელოსნო ზნე-გამასწორებელ ახალშენთა და თავშესაფართა საზოგადოების გამგეობა.** საზოგადოების წესდების მე-16 §-ის თანახმად, აცხადებს, რომ შაბათს, 27 თებერვალს ამა წლისა, შუადღის 12 საათზე, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა საერთო კრება.

კრების საგნებია:

1. საზოგადოების გამგეობის მოქმედების 1898 წლის ანგარიში.
2. საზოგადოების 1898 წლის ფულის ანგარიში.
3. სოფ. ზემო-ავჭალის ზნე-გამასწორებელ ახალშენის ანგარიში 1898 წ.
4 საზოგადოების 1899 წლის შესავალ-გასავლის აღრიცხვა.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება 1898 წლის ანგარიშისა და 1899 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.
6. ზემო-ავჭალის ახალშენის დირექტორის თანამდებობაში დამტკიცება კ. კ. ჰყონიასი.
7. საზოგადოების მეთაურის ს. ს. გონჩაროვის სახელით აშენებულ ერთ-ერთ ფარდულისათვის სახელის დარქმევა.

შენიშვნა. საერთო კრება კანონიერად ჩაითვლება თუ მასში დაესწრება არა ნაკლებ 20 წევრისა (საზოგადოების წესდების მე-17 §).

*** **ნ. გ. ლოლობერიძის შავი ქვის წარმოების გაუქმება.** კავკასიაში ცნობილმა შავი ქვის მწარმოებელმა ნ. ვ. ლოლობერიძემ ამ წლის 1 იანვრიდან გადასცა თავისი საქმე ინჟინერს ემერიკს და თან შეუდგა თავისი სავაჭრო-სამრეწველო წარმოების გაუქმებას.

*** **თამბაქოს საცდელი ყანა.**
წად-მოქმედების დეპარტამენტი
უდგა ადგილის არჩევას ქუთაი
გუბერნიაში თამბაქოს საცდე
ყანის გასაშენებლად; განზრ
აქვთ გააშენონ ის ოზურგეთში
და ქუთაისის მაზრაში.

*** **სახელმწიფო გარდასახ**
ამ წლის სახელმწიფო გარდა
დის რაოდენობა უძრავ ქონებ
ქალაქებსა, პოსადებსა და და
ში ქუთაისის გუბერნიაში უდ
63 ათას მან., შავი ზღვის
ბერნიაში—6 ათას.

*** **სომეხთა პოეტები ქარ**
**თულად.** როგორც გავიგეთ, ცნ
ლი მთარგმნელი ი. ბაქრაძე
მად სთარგმნის ქართულად სო
თა პოეტების ლექსებს, რომე
საც ცალკე წიგნად უპირებს
მოცემას.

*** **სტეფან გოგიჯანოვის ს**
სიღნაღიდან იწერებიან, რო
თებერვალს იქ ტფილისის ოლ
სასამართლოს სესსიამ განი
ხალხის დაუსწრებლად სიღნ
მცხოვრების სტ. გოგიჯანო
საქმე, რომელსაც ბრალდებ
აღელვების დროს ნიკ. ძ
მოკვლა. მკვლელობის მიზეზი
საზიზღარი ძალდატანება, რომ
საც უპირებდა მოკლული ბრ
დებულს. ბრალდებულს მიუ
8 თვით დატუსაღება.

*** **სათავად-აზნაურო ბ**
**რწმუნებულთაგან.** რადგან ტფ
სის გუბერნიის თავად-აზნაუ
მომავალ არა ჩვეულებრივ კრ
მაზრებს შორის განაწილე
იქმნებიან ტფილისის სათავად
საადგილ-მამ. ბანკის რწმუნებ
ნი, ამის გამო „ნოვ. ობ.“ ა
ნავს თავად-აზნაურთა რიცხვ
თეულ მაზრაში ცალკე. სტ
ტიკური ცნობები მოყვან
1886 წ. აღწერიდან.

ორივე სქესის კომ

| | |
|---|---|
| ტფილისის მაზრაში . . | |
| ახალქალაქისაში. . . . | |
| ახალციხისაში . . . . | |
| ბორჩალოსაში . . . . | |
| გორისაში . . . . . | |
| დუშეთისაში. . . . . | |
| სიღნაღისაში. . . . | |
| თელავისაში . . . . . | |
| თიონეთისაში . . . . | |
| სულ | |

*** **ლოლობერიძის დასჯა**
გდილით. 13 თებერვალს,
10 საათზე, ჩამოახრჩვეს
შტაბს-კაპიტანის ვორონკოვ
ვლელი მისი ხელ-ქვეითი
ოფიცერი ლოლობერიძე.

*** **რიონის წყლის გამო**
ტფილისის სამხედრო-სამკურ

...რატორიის მმართველმა დ—
.. ვ. ლუნკევიჩმა წინადადე-
..ილო გამოიკვლიოს რიონის
..ს თვისება, რადგან განზრახ-
..ქვთ რიონიდან გაიყვანონ
.. ქუთაისის მომავალ წყლის
..ში.

..ბულვარების გაკეთება. საბ-
..ი კომისიამ, რომელსაც მინ-
..ლი აქვს ტყეებისა და ბაღე-
..შენების საქმე, დაადგინა
..ოს ბულვარი ბარიათინსკის
.. ალექსანდრეს ბაღის მხრივ.

.. თელავის სასანიტარო მზრუნ-
.. დამტკიცება. ტფილისის გუ-
..ატორის თანამდ. აღმასრულე-
..ა დაამტკიცა თელავის ქალა-
..გამგეობის-მიერ არჩეული სა-
..ტარო მზრუნველები—ბ. ი.
..ვიჩი, ვ. გ. მიტრაფანოვი,
..სვიმონაშვილი, ი. კ. ყუ-
..ნოვი, ს. ი. მიღდისოვი,
..ონბეჟი, პ. პ. ხუნდაძე, კ.
..ტნიცკი, ი. მ. ზუბკოვი, ნ.
..ლეზნევი და პ. თ. იშხანოვი.

.. საქართველოს სამხედრო გზა.
..დან იწერებიან, რომ იქ დი-
..თოვლი მოდის; ნისლი და
..ბელია. კობსა და ჯვარს შუა
..შეწყვეტილია ღრმა თოვლით
..მქერით. კობსა და ყაზბეგს
..სამარხილო გზაა. რუსეთის
..ა კობიდან ველარ იძვრის.

## ყურმოკრული საუბარი

—

..წავიდეთ სასეირნოდ, ხედავ რა
..ერი დარია.
..რადაც გუნებაზე არა ვარ, მეზა-
.. გარდა ამისა მე დღეს საკმაოდ
..რნე.
..როდის?
..ორი საათი ოთახში დავდიოდი.

—

..რატომ არ გინდა მას ცოლად
..?
..არ მომწონს...
..არ მოგწონს რა, ეგ ხომ არტის-
.. არის, რომ მოგწონდეს.

—

..მაკვდავი კაცი ეუბნება ცოლს:
..სოფიკო, მე ვკვდები; როცა
..დე, შეირთე ჩემი უფროსი ნოქარი
..ჰო, მე უკვე მქონდა მასთან მა-
..დაპარაკი, მაგრამ ის როგორღაც
..ბა...

# ..დეპეშები

(..ეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

12 თებერვალი

..ᲓᲔᲞᲔᲨᲢᲘ. მორიგების პირო-
..ოქმი ხელ-მოწერილია სელი,
..ელა დასის რწმუნებულთა
.. წარმომადგენელთა პალატის
..ლს კრებაზედ, ახალ კაბინე-ტის დეპეშის წაკითხვის შემდეგ, წარდგენილ იქმნება, მორიგების ნიშნად, პროექტი ახალ ჯარის-კაცთა გაწვევის და ხოლოკატებთა მორიგების შესახებ. სელი ხვალ ვენაში წავა.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ** გაზეთების სიტყვით, დერულედი დაატუსაღეს იმიტომ, რომ ის, 2000 ლიგერით ერთად, გენერალ როჟეს შეხვდა, რომელიც ჯარს მოუძღვებოდა ნელის ყაზარმებში, და მას ხვეწნა დაუწყო ელისეს სასახლისკენ წამოდი ჯარითო. როჟემ გადაჭრით უთხრა დერულედს—მომშორდიო. როდესაც უკანასკნელმა ყაზარმებში შესვლა მოინდომა, გენერალმა ბრძანა დაეპატიმრებიათ ის. გამომძიებელმა ღამით ჩვენები ჩამოართვა დერულედს და გაბერს. როგორც სარწმუნოდ ამბობენ, იმათ პასუხის გებაში მისცემენ იმისთვის, რომ მათ ჯარის შეცდომილებაში შეყვანა უნდოდათ.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**. ზოგიერთი გაზეთები ჰფიქრობენ, რომ დერულედი ეხვეწებოდა როჟეს ელისეს სასახლეში წასვლასო; ზოგიერთებს-კი ჰგონიათ, რომ დერულედს, შევიდა რა ყაზარმებში, აზრად ჰქონდა მხოლოდ თავისი გრძნობა გამოეცხადებინა ჯარისათვისო. საჭიროა მოცდა, სანამ დერულედი ჩვენებას მისცემდეს და გამოძიება დამთავრდებოდეს.

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ**. მასკატიდგან ბომბეიში მოსულ ცნობებით, სულთანი უარზედ იყო ინგლისის აგენტებისათვის გაეგებინებინა ინგლისთან დადებული ხელშეკრულობა. გემი „აკლიპსე“ 14 თებერვალს შეუერთდა „სფინქს“ და „რედბრესტს“, რამაც დიდად შეაშინა ხალხი. ადმირალი დაემუქრა სულთანს დეპეშით, რომ, თუ 2 საათზედ საბჭოში არ გამოცხადდი, 2 საათ. და 20 წუთზედ ყუმბარებს დაგიშენო. სულთანს ურჩევდნენ მოთათბირენი—დასთმეო. ამასთანავე სამხედრო გემები საომრად ემზადებოდნენ და ეს გააგებინეს კონსულებს. მთელი ქალაქი ჰღელავდა. სულთანმა ადმირალთან თავისი ძმა გაჰგზავნა, რომელიც ადმირალმა არ მიიღო, მაშინ თითონ სულთანი მივიდა და გემზედ სამი საათი დაჰყო. როგორც იუწყებიან, მეორე დღეს დიდს საბჭოში სულთანის სასახლეში სულთანმა გარდასცა ადმირალს საფრანგეთთან ხელშეკრულობა და საყოველთაოდ უარი განაცხადა იმის აღსრულებაზედ. ადმირალი ბუშირს წავიდა.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**. დერულედი და გაბერი დატუსაღებულნი დარჩებიან. მთავრობა წარუდგენს პალატას უფროს ბრალმდებლის წერილს, რომელიც თხოულობს, რომ ისინი სამართალში უნდა იქმნენ მიცემულნიო. პალატამ თუ ნება დართო გამოძიების დანიშვნისა, გამოძიება გამოარკვევს, რაგვარს სამსჯავროს უნდა მიეცნენ ისინი.

გენერალმა როჟემ აცნობა პრეფექტს გუშინდელი შემთხვევა, რითაც დაასაბუთა დერულედისა და გაბერის დატუსაღება.

ბულვარზედ დატუსაღებულ იქმნა 200 კაცი. ამათგან 70 გარდა დანარჩენნი გაანთავისუფლეს.

რუსეთის სამი აფიცერი მოვიდა Pére Lachaise-ს სასაფლაოზედ და ფორის საფლავს ორი გვირგვინი დაადვეს: ერთი—ხელმწიფის სახელით, მეორე—საპატიო ლეგიონის ორდენის მქონე რუსების სახელით.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**. დერულედმა და გაბერმა განაცხადეს, რომ განზრახვა გვქონდა შეგვეცვალა წეს-რიგი მმართველობისა საყოველთაო კენჭის ყრითაო. ამ შემთხვევაში ყველაზე მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს უმაღლესს სასამართლოს. მილვუას გაანთავისუფლებენ. უეჭველია, მილვუას სამართალში მისცემენ იმის გამო, რომ პოლიციას შეურაცხყოფა მიაყენაო. 1893 წლის 12 დეკემბერს გამოცემულის კანონის მე-25 მუხლი ამბობს, რომ, ვინც მოაწადინებს ჯარი გადააყენოს თავისის მოვალეობის ასრულებისაგან, საპატიმროში უნდა იყოს 1 წლიდგან დაწყობილი 5 წლამდე და უნდა გადიხადოს ჯარიმა 100 ფრანკიდგან დაწყებული 3000 ფრანკამდე. კანონის მე-87 მუხლი ამბობს, რომ ვინც მოიწადინებს მთავრობის გადაყენებას ანუ გამოკვლას, დასჯილი უნდა იქმნას ციხეში დაპატიმრებით.

13 თებერვალი

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**. გამომძიებელ პოლიციის უფროსი შეუდგა „პატრიოტთა ლიგის“ სადგომის გაჩხრეკას. იმან ბრძანა დაეძახნათ ჩილინედრისთვის ავეჯების გასაღებად. გაჩხრეკა დიდს ხანს გასტანს.

დეპუტატთა პალატა. მრავალი ხალხია. დიდი მოძრაობაა. დეშანელი აცხადებს, რომ მე მივიღე თხოვნა იმის შესახებ, რომ ნება დართოს პალატამ დერულედი და გაბერი სამართალში იქმნან მიცემული (ხმაურობა ასმის: „წაიკითხეთ!“), დეშანელი კითხულობს უფროს ბრალმდებლის წერილს, რომელშიაც ნათქვამია, რომ გენერალმა როჟემ გვაუწყა, რომ ბრბო, რომელსაც წინამიუძღოდნენ დერულედი და გაბერი, კვალდაკვალ მისდევდა იმის ბრიგადას, ამასთანავე ბრბოს ერთი ნაწილი ყაზარმაში შევიდა. დერულედმა და გაბერმა მიჰმართეს აფიცრებს და უარი განაცხადეს ყაზარმებიდგან წასვლისა. მას შემდეგ, რაც ისინი დაატყვევეს, დერულედმა და გაბერმა განაცხადეს, რომ აზრად გვქონდა ჯარ დაგვეყოლიებია და იმის საშუალებით პარლამენტრელ რესპუბლიკის ნაცვლად პლებისციტარული რესპუბლიკა დაგვეარსებინაო. (ხმაურობაა: „ისინი დეპოში გაჰგზავნეს!“) პროკურორი თხოულობს, ნება დამრთეთო სამართალში მივსცე ისინი იმისათვის, რომ აზრად ჰქონდათ გაებრიყვებინათ ჯარის კაცნი —თქვენს თანამდებობას ნუ აასრულებთო. კასტელენმა განაცხადა, საჭიროა დერულედი და გაბერი განვათავისუფლოთ მიუხედავად იმისა, როგორ გათავდება იმათი საქმე. კასტელონი ამბობს, რომ დერულედსა და გაბერს რესპუბლიკა უყვართო. ორატორს არა სჯერა, რომ ისე იყვნენ დამნაშავენი, როგორც ამტკიცებენ. დიუპუი ამბობს, რომ ეს საქმე რაც შეიძლება მალე უნდა გადაწყდესო. ამიტომაო. სთქვა დერულედმა, საჭიროა კომისია დაინიშნოსო. ბიურო მოხსენებას დღეს წარადგენს. (ტაშის ცემა) ნაციონალისტი ლაზი ამბობს, რომ მე თანა ვდევდი დერულედსა და გაბერს საპატიმრომდე და ამიტომ მეც პასუხის გებაში მიმეცითო. დეშანელმა განაცხადა, რომ პალატა ბიუროს აირჩევსო. კრება შეწყვეტილ იქმნა.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**. პატრიოტთა ლიგა უნდა შეკრებილიყო საღამოთი სენპოლის დარბაზში, ბასტილიის მახლობლად, პოლიციამ აღკრძალა ხალხის შეკრება. ხალხი მაინც შეგროვდა. 20 კაცი დააპატიმრეს. მილვუა მეგობრებსა სთხოვდა დამშვიდდითო.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ**. პალატა. მილვუა, რომელიც სატუსაღოდგან გამოუშვეს, კრებაზედ არის. მრავალი დეპუტატები არიან. მინისტრთა უმრავლესობა თავ-თავიანთ ადგილას სხედან. სოზე კითხულობს მოხსენებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა პასუხის გებაში მიეცნენ დერულედი და გაბერი, და ამასთანავე ისინი დატუსაღებულნი უნდა დარჩნენო. „ეს საქმე თუ მართალი გამოდგაო,—ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში,—არ არის იმათ წინააღმდეგ ისეთი ღონისძიება, რომელსაც გადამეტებული ვუწოდოთო, მატომ რომ ეს საქმე შეიცავს განზრახვას რესპუბლიკის წინააღმდეგ და მხედრობის შეურაცხებასო“. (ტაშის ცემაა). დასასრულ მოხსენებულია, რომ პარიზის მცხოვრებელნი სამაგალითოდ იქცეოდნენო. (ტაშის ცემაა). ნაციონალისტმა კასტელონმა განაცხადა, რომ წინააღმდეგი არა ვარ საქმე სასამართლომ გაარჩიოსო, რადგანაც იმ აზრისა ვარ, რომ ამას მოწადინებულნი

არიან თვით დერულედი და გაბერიო, (დაცანვის ხმა). მილვუა ამბობს, რომ ისეთი მამულიშვილი, როგორიც არის დერულედი, არ ეცდება პასუხის გება აიცილოს თავიდგან, მაგრამ ეს მიკვირს, თუ საუკეთესო მოქალაქეებს სდევნიან, რად არ აძლევენ პასუხის გებაში იმ კაცებს, რომელნიც საზღვარგარედ სცდილობენ შეთქმულება მოახდინოთო (წინააღმდეგობის ხმა). პალატამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, დერულედი და გაბერი სამართალში იქმნენ მიცემულნიო. პალატამ გადასწყვიტა კრება ხვალ დაინიშნოსო. კრება დასრულდა.

**ბომბეი.** ტეშეერში ამბავი მოვიდა, რომ ავღანის ემირი გარდაიცვალაო. ინდოეთის მთავრობას ჯერ არავითარი ცნობა არ მოსვლია ამ ამბის შესახებ.

**პარიჟი.** დერულედი და გაბერი გადაიყვანეს სანტეს საპატიმროში.

**ვაშინგტონი.** ოტასი იუწყება, რომ მეამბოხეთ გაამაგრეს თავიანთი ადგილები, მაგრამ 23 თებერვალს დამარცხდნენ: 500 კაცამდე დამარცხდა და 200 კაცი დაატყვევეს. ხალხი დამშვიდდა.

13 თებერვალი

**ტომსკი.** ენისეის გუბერნატორმა დეპეშით შეატყობინა „ტომსკის ფურცელს“. რომ ხმები ანდრეს შესახებ ტყუილია. კერძო ცნობებიდან აღმოჩნდა, რომ ამბავი ანდრეს შესახებ, სასტიკი შეცდომაა. ლიალინი არ იმსახურებს არავითარ ნდობას.

**პარიჟი.** დერულედი და გაბერი დღეს დილით წაიყვანეს „პატრიოტთა ლიგის დარბაზში, იმ განჩხრეკაზე დასასწრებლად, რომელიც დღეისთვის არის გაწზრახული.

**პარიჟი.** მელინმა მიიღო რა პალატის რესპუბლიკელ-პროგრესისტთა ჯგუფის თავმჯდომარეობა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც დაამოწმა საფრანგეთისა და რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობის სერიოზობა, რომელსაც უფრო აძლიერებს დრეიფუსის საქმით გამოწვეული განხეთქილება. მელინი საშუალებად ასახელებს პარლამენტის ზნე-ჩვეულების ცვლილებას, ტიერისა, გამბეტისა და ფერრის ტრადიციებისაკენ დაბრუნებას. დასასრულ ორატორმა მოიხსენა ფორი და ლუბეს ერთგულება გამოუცხადა

**სოფია.** „თავისუფლებამ“ გამოაქვეყნა სტამბულოვისა და როდოსლავოვის მომხრეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი ერთად მხარს დაუჭერენ კაბინეტს. ამასთან გაზეთი აცხადებს, რომ ის აღარ გამოვა.

**ლონდონი** სათემო პალატის კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს დამატებითი სამხედრო კრედიტის განხილვა, უარჰყო 167 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 58-ისა, მორლის წინადადება, რომელიც მიმართულია მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ სუდანის შესახებ.

მორლიმ მკვახედ მოიხსენა მთავრობა და სთქვა, რომ სუდანში მოძრაობა თავიდანვე შეცდომა იყოო, ეს მოძრაობა თავზე ახვევს ინგლისს ახალ-ახალ მოვალეობას, საქმის გართულებს და ხარჯებსაო. ბროდრიკი იცავდა მთავრობის პოლიტიკას და თავ გამოდებით ამტკიცებდა, რომ ინგლისის მდგომარეობა სუდანში მტკიცეა, სუდანში მოძრაობა არა მარტო დაფუძნებულია უფლებაზე, არამედ წარმოადგენს სრულიად სამართლიან გავრცელებას იმპერიალიზმისას ამ საუკუნეშიო. გრეიც აგრეთვე იცავს მთავრობის პოლიტიკას. ლაბუშერი მისი წინააღმდეგია, ისე როგორც კემპელბანნერმანი, რომელიც მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ ინგლისი ვერ იტყვის ეგვიპტეზე უარსაო. ბალფურმა შემდეგ მთავრობის სასარგებლოდ ილაპარაკა. ამის შემდეგ მოხდა კენჭის ყრა.

**მადრიდი.** არჩევნების შემმოწმებელმა კომისიამ მოუსმინა სერვერას, რომელიც ამტკიცებდა, რომ მას უფლება აქვს თანა-მჯდომარეობდეს სენატში. სერვერამ განაცხადა, რომ თუ ესკადრის დაღუპვა დანაშაულად ჩაითვლება, პასუხის გება მთავრობას მოეთხოვება, რომელმაც გამაგზავნა ანტილის [illegible]ში ჩემი ნების წინააღმდეგაო. სერვერამ დასძინა, მე ვტიროდი, როცა სანტ-იაგოში მშვიდობით მოსვლას მილოცავდნენ, რადგან წინ უბედურებას მოველოდიო.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ცნობილის და საფრანგეთის საყვარელი პოეტის ბერანჟეს თხზულებანი.

## „ბერანჟე“

ქართულად

გ. გვაზავას თარგმანი.

**ფასი 40 კაპ.**

წიგნი მოზრდილია, სუფთაა და ლამაზად არის გამოცემული; შეიცავს 40 საუკეთესო ლექსს და ავტორის სურათს.

ვინც ერთბაშად 10 ცალს გამოიწერს, 20% დაეთმობა „ცნობ. ფურც.“ ხელის მომწერთ წიგნი გაეგზავნება ორიაბაზის ფოსტის მარკით. (10—6)

## Открыта подписка на 1899 годъ

### На литературный, научный и политическій журналъ

Выходитъ 3 раза въ мѣсяцъ (1, 11, 21) 36 книгъ въ годъ 36

# „ЖИЗНЬ“

Рисунки и портрет

**Съ 1899 г. журналъ будетъ выходитъ при обновленномъ оссставѣ дакціи и сотрудникпвъ.**

Ва журналѣ принимаютъ участіе: К. С. Баранцевичъ, академикъ Н. Н. товъ, В В. Брусянинъ, П. И. Вейнбергъ, А. А. Вербипкая, В. В. Бере З. Л. Воронова, П. Н. Ге, М. П. Глѣбовъ, Р. Гвоздевъ, М. Горькій, (А Пѣшковъ), И. А. Гурвичъ, Г. А. Джаншіевъ, Н. П. Дружининъ, А. (A Duc), Де-Греефъ (De Greef.), П. Ц. Инфантьевъ, М. К. Исаевъ, Калитинъ, Б. Э. Кетрицъ, проф. Г. В. Левицкій, д-ръ П. В. Левашов Е. Лосицкій, Г. Ф. Львовичъ, В. Микуличъ. Н. М. Минскій, Вас. Ив. ровичъ-Данченко, А. А. Никоновъ, Н. А. Окуневъ, проф. Э. Ю. Петр А. Поссе, Д. Д. Протопоповъ, К. П. Пятницкій, Н. А. Рубакинъ, Скалонъ, М. А. Славинскій, Е. Смирновъ, Евг. А. Соловьевъ, П. Б. Ст Н. Ф. Тепловъ, д-ръ В. Ө. Тотоміанцъ, М. И. Туганъ-Барановскій, В. Черновъ, А. П. Чарушниковъ, Евг. Чириковъ, Корсдъ Шмидтъ (С Schmidt), проф. Ө. Ө. Эрисманъ и др.

**М. ГОРЬКІЙ зъявилъ согласія печатать въ „Жизни“ ВСѢ свои н произведенія,**

за исключеніемъ небольшикъ очерковъ, обѣщанныхъ имъ „Журнали для всѣхъ“.

**12 книжекъ** выходящихъ 1-го числа каждаго мѣсяца, заключаютъ въ себѣ **ЛИТЕРАТУРНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ: беллетристика, литерат. критика и искусство.

**12 книжекъ.** выходящихъ 11-го числа, заключаютъ въ себѣ **НАУЧНЫЙ** отдѣлъ журнала. Въ него входятъ статьи по *естество-знанію* и по *общественнымъ наукамъ* (соціологія, политическая экономія, право, исторія).

Особое вниманіе будетъ обращено на ознакомленія читат. съ новѣйш. научными теченіями.

**12 книжекъ,** выходящихъ 21-го числа, содержатъ въ себѣ **ПОЛИТИЧЕСКІЙ** отдѣлъ журнала. Въ него вхолятъ: руководящія статьи по текущимъ вопросамъ русской и заграничной жизни, корреспондевція изъ провиноіи и изъ за границы.

Особое вниманіе будетъ обращено на разработку вопросовъ. касающихся крестянскаго, городскаго и земскаго самоуправленія.

Многіе мѣстные общественные дѣятели обѣщали свое сотрудничество. Для болѣе полнаго ознакомленія читателей съ заграничной жизнью, кромѣ отдѣльныхъ статей и корреспонденціи, редакція предполагаетъ помѣщать переводы *стенографическихъ* отчетовъ о наиболѣе интересныхъ засѣданіяхъ западно-европейскихъ парламентовъ.

Постоянныя корреспонденціи изъ Германіи, Франціи, Англіи, С. Ам. Соед. Штатовъ, Австріи, Бельгіи и др.

*Библіографія* распредѣляется по соотвѣтствующимъ отдѣламъ.

*Къ каждой изъ 36 книжек лагается обзоръ русской и иност ной жизни за 10 дней.* Этимъ б достигнуто соединеніе удобствъ е сячнаго и еженедѣльнаго изданія.

Кромѣ того ежемѣсячно бу помѣщаться *новости литератур кусства и науки, а также мелочи ской и заграничной жизни.*

***Многія статьи (по искус исторіи и т. д.) будутъ ил стрированы снимками съ тикъ и портретами.***

Помѣщеніемъ рисунковъ и ретовъ редакція однако отнюда не мѣетъ придать журналу характеръ и стрированнаго изданія.

Стремясь избѣгать помѣшенія шихъ литературныхъ произведені большими отривками редакція р напечатать переводъ новаго бол *романа Гамфри Уордъ* (автор челлы, Сэра Дж. Тресседи, Давида на и др.) ***Хельбекъизъ Банни ля отдельней книгой*** и разослат въ первой четверти 1899 года в *подписчикамъ, внесшимъ полную вую плату* въ видѣ безплатнаго ложенія.

Контора редакціи готова нять порученія иногороднихъ по чиковъ по покупкѣ и высылкѣ имъ кн

Первыя три (январскія) кн печатаются и выйдутъ въ декабрѣ. лающимъ ознакомиться съ журна онѣ высылаются за *одинъ* рубль. В савшіе ихъ, продолжаютъ подписк 6 рублей.

**Подписная цѣна съ доставкой и пересылкой: на годъ—7 руб.; на года—4 р. Допускается разсрочка отъ 1 р. въ мѣсяцъ.**

Главная контора СПБ. Бассейная д. 14.

Отдѣленія конторы *въ Москвѣ:* кн. маг., «Книжное Дѣло» (Моховая, Бенкендорфа); кн. скл. А. М. Муриновой (Трехпрудный пер., собств.

(8—1) Редакторъ-Издатель **Д. М. Остафьев**

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზ

# „კვალი“

გამოვა 1899 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბახამდე

იმავე პროგრამით და იმავე თანამშრომლებით, როგორც 1898

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით მან.; ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით სამი თვით გაუგზავნელად 2 მ., გაგზავნით 2 მ. 50 კ. თითო ნ სამი შაური. ხელის-მომწერლებს წლის ფული შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილადაც გამოგზავნონ.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (სასახლის ქ., სათავად-აზნ. ქარვ.) და თვით „კვალის“ რედაქციაში — არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «Квали» (10—